საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

MES 4 23 0000362418

30/03/2023

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თელავი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ’’ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ’’ ქვეპუნქტის, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე და შტატგარეშე პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ დებულების (წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება N26 14/03/2018 ოქმი N5), სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის შორენა ლაზვიაშვილის სამსახურებრივი ბარათის (N 301043 16/03/2023 წ.), სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსის ჯუმბერ მაილაშვილის სამსახურებრივი ბარათის (N 346873 27/03/2023 წ.) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.გამოცხადდეს კონკურსი სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტის სპეციალისტი, ადგილების რაოდენობა - 1.
ბ) იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ადგილების რაოდენობა - 1;

2. ამ ბრძანების პირველ პუნქტის ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგინდეს ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად, ხოლო ამ ბრძანების პირველ პუნქტის ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგინდეს ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატმა საკონკურსო დოკუმენტაციის სახით უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე;
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) ავტობიოგრაფია ქართულ ენაზე (CV);
ე) 1. ამ ბრძანების პირველ პუნქტის ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანამდებობისთვის: უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი (ბაკალავრი შესაბამისი მიმართულებით);
2. ამ ბრძანების პირველ პუნქტის ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანამდებობისთვის: უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი (სასურველია მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი);
ვ) ცნობა სამუშაო ადგილიდან, სტაჟის მითითებით: 1. ამ ბრძანების პირველ პუნქტის ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანამდებობისთვის, არსებობის შემთხვევაში; 2. ამ ბრძანების პირველ პუნქტის ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანამდებობისთვის არანაკლებ ორი წლის სამუშაო სტაჟით;
ზ) ცნობა ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ“.
ი) ვაკანსიის მოთხოვნებთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია;
4.კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:
ა) საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა;
ბ) გასაუბრება.
5.კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყოს 2023 წლის 31 მარტიდან და დასრულდეს 2023 წლის 10 აპრილს, 17:00 საათზე;
6.საბუთების მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის კანცელარიაში, უნივერსიტეტის I კორპუსის II სართულზე # 206-ე ოთახში, 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე;
7.წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა განხორციელდეს 2023 წლის 18 აპრილს;
8.კანდიდატის საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება ჩატარდეს 2023 წლის 19 აპრილს 11:00 საათზე;
9.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს;
10.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს;
11.დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბეჟანიშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
12.დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. კახაშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
13.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

14.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
მაისურაძე მზია